



სამართლიანი არჩევნები

30 მაისი, 2010 წელი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

განცხადება არჩევნების მიმდინარეობის შესახებ # 3 18:00 საათი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება აგრძელებს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების მონიტორინგს. ორგანიზაცია კენჭისყრის მიმდინარეობას აკვირდება 1100 საარჩევნო უბნის დამკვირვებლის, 73 საარჩევნო ოლქის დამკვირვებლის, 73 მობილური ჯგუფისა და 15 იურისტთა ჯგუფის მეშვეობით. ამასთანავე, ორგანიზაცია ახორციელებს არჩევნების დღის ხარისხობრივ და რაოდენობრივ დაკვირვებას. „სამართლიანი არჩევნები“ წარმოგიდგენთ 18:00 საათისთვის არსებულ მონაცემებს.

დამკვირვებლებზე ზეწოლა

- **# 3 საბურთალოს** საარჩევნო ოლქის **# 58** საარჩევნო უბანზე იყო არეულობა და ქაოსი. როდესაც „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელმა მოინდომა საჩივრის დაწერა, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დამკვირვებლის მიერ წარდგენილი საჩივარი არ დაარეგისტრირა. კომისიის თავმჯდომარემ დამალა კომისიის ბეჭედი, შესაბამისად ამ ეტაპამდე ვერ ხერხდება საჩივრის დარეგისტრირება. ორგანიზაცია აპირებს იმავე საჩივრის შეტანას **# 3** საბურთალოს საარჩევნო ოლქში.

ორგანიზაციის სახელის გამოყენება

- **# 59 ქუთაისის** საარჩევნო ოლქში **# 47** და **# 60** საარჩევნო უბნებზე ორგანიზაციისთვის სრულიად უცნობი პირები საუბნო საარჩევნო კომისიის წინაშე წარსდგნენ, როგორც „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები. **# 47** საარჩევნო უბანზე აღნიშნულმა დამკვირვებელმა დატოვა საარჩევნო უბანი, ხოლო **# 60** საარჩევნო უბანზე აღნიშნული დამკვირვებელი მოგვიანებით დარეგისტრირდა როგორც „დემოკრატიისა და თავისუფლების ცენტრის“ დამკვირვებელი. „სამართლიანი არჩევნები“ გამოხატავს შეშფოთებას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

სხვადასხვა სახის დარღვევები

- **# 79 ბათუმის** საარჩევნო ოლქის **# 16** საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა სიაში 2 ამომრჩეველს საკუთარი სახელისა და გვარის გასწვრივ გრაფაში ხელი უკვე მოწერილი დახვდა.
- **# 79 ბათუმის** საარჩევნო ოლქის **# 64** საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერა ნაკლებია, გაცემულ ბიულეტენებთან შედარებით.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

- **# 79 ბათუმის** საარჩევნო ოლქის **# 22** საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვის მაგივრად ხმისმიცემის ფაქტები.
- **# 39 ასპინძის** საარჩევნო ოლქში **# 1** საარჩევნო უბანზე მოქალაქე გიორგი შერმაზანაშვილს, რომელმაც წარადგინა დროებითი პირადობის მოწმობა, რეგისტრატორმა გადასცა ბიულეტენები. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 30 მაისი არჩევნებში მოქალაქე ვერ იღებს მონაწილეობას დროებითი პირადობის მოწმობით. ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ მოქალაქე გიორგი შერმაზანაშვილი საარჩევნო უბნიდან გაიქცა და თან წაიღო საარჩევნო ბიულეტენები.
- **# 64 სენაკის** საარჩევნო ოლქის **# 14** საარჩევნო უბანზე ხუთმა იძულებით გადაადგილებულმა ამომრჩეველმა ხმა მისცა დევნილის მოწმობის გარეშე. ხოლო ერთმა - ერთმა ამომრჩეველმა ხმა მისცა საპენსიო ბარათის წარდგენის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით „სამართლიანმა არჩევნებმა“ შეიტანა საჩივარი საარჩევნო კომისიის წევრების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის და საარჩევნო უბნის ბათილობის შესახებ.
- **# 66 ხობის** საარჩევნო ოლქის **# 32** საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ისეთმა ამომრჩეველმა, რომელიც სხვა უბნის სპეციალურ სიაში იყო გადაყვანილი. აღნიშვნა, რომ ეს პიროვნება სპეციალურ სიაშია გადაყვანილი, სიის სამაგიდო ვერსიაში არ იყო გაკეთებული.
- **# 48 ხარაგაულის** საარჩევნო ოლქში **# 2** საარჩევნო უბანზე სიის დანართში რეგისტრირებული იყო 49 ამომრჩეველი. თუმცა, გადასატანი საარჩევნო ყუთით საარჩევნო უბანში დააბრუნდა 50 ამომრჩევლის მიერ მიცემული ხმა. ორგანიზაციამ დაწერა საჩივარი და მოითხოვა როგორც საარჩევნო ყუთის გაბათილება, ასევე კომისიის ორი წევრის ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის საკითხი დაყენება.
- **# 59 ქუთაისის** საარჩევნო ოლქის **# 84** საარჩევნო უბანზე დაგვიანებით, 12:00 საათზე წაიღეს გადასატანი საარჩევნო ყუთი. ამავე საარჩევნო უბანზე კომისიის წევრებმა ხმა მიაცემინეს ამომრჩეველს, რომელმაც საზღვარი 4 დღის წინ გადმოლახა, თუმცა არ წარმოუდგენია დოკუმენტი(პასპორტი), სადაც დაფიქსირებული უნდა იყოს საზღვრის გადმოკვეთის ფაქტი.

კენჭისყრის პროცესის შეჩერება

- **# 30 კასპის** საარჩევნო ოლქის **# 14** საარჩევნო უბანზე გაფუჭდა მარკირების აპარატი და კენჭისყრის პროცესი შეწყდა 40 წუთის განმავლობაში.
- **#17 თელავის** საარჩევნო ოლქის **# 4**, **# 6** და **# 44** საარჩევნო უბნებზე მარკირების აპარატის დაზიანების გამო 20 წუთით შეფერხდა ხმის მიცემის პროცესი

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემა

- **# 62 ჩოხატაურის** საარჩევნო ოლქში **# 33** საარჩევნო უბანზე სიის დანართში შეყვანილია 100 ამომრჩეველი, თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიაში შესულია მხოლოდ 34 ამომრჩევლის განცხადება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მათგან უმეტესი განცხადება ერთი და იმავე კალიგრაფიით არის დაწერილი (მაგალითად 6,7,8 ერთი და იგივე ხელწერით).
- **# 62 ჩოხატაურის** საარჩევნო ოლქში **# 18** საარჩევნო უბანზე სიის დანართის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით შეტანილი არის 87 განცხადება, რომლებიც ერთი და იმავე კალიგრაფიით იყო დაწერილი.

პროცედურული დარღვევები

- **# 17 თელავის** საარჩევნო ოლქის **# 49**, **# 25** და **# 19** საარჩევნო უბნებზე არ იყო გამოკრული საარჩევნო ბიულეტენების შევსების წესი. აღნიშნული ფაქტი დამკვირვებლების მითითების შემდეგ გამოსწორდა.

18:00 საათისთვის ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ საერთო ჯამში შეტანილ იქნა დაახლოებით **22 საჩივარი**. ამ ეტაპისათვის "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლების მიერ ხდება სხვა დარღვევებზე რეაგირება და საჩივრების შეტანა შესაბამის საარჩევნო კომისიებში.

„სამართლიანი არჩევნები“ აგრძელებს არჩევნების დღის მონიტორინგს და მონიტორინგის შედეგებს წარმოგიდგენთ ორგანიზაციის მომდევნო განცხადებაში.



სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge